**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი №5**

ქ.თბილისი **05.05.2016**

**სხდომას ესწრებოდნენ**

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**ქეთევან ჯაყელი** - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
**ლიანა ზამბახიძე** - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
**მაია ჩიხლაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს ,,საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
**მამია ჯანჯალია** - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
**ირაკლი პეტრიაშვილი** - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
**ნიკოლოზ ჩაჩხიანი** - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები :**

**თამარ ზაალიშვილი** - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
**თამარ მახარაშვილი** - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
**ლევან მადათოვი** - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
**გიორგი მელიქაძე** - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
**რამაზ გიუნაშვილი** - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**ანა ცუცქირიძე** - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიის" დირექტორის მოადგილე;
**იზა კუპატაძე** - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის წარმომადგენელი;
**ეკატერინე როჭიკაშვილი** - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის წარმომადგენელი.

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):**

თამარ ვალიშვილი;
ზურაბ ჩხიკვაძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
ელენე გვენცაძე;
მაია დანელია;
ეკატერინე გიგაშვილი;
მარინა გოგოლაძე;
თეა შაყულაშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
ნატო ალავიძე;

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:45 საათზე. თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან მიმართებით, ან ხომ არ ჰქონდათ აცილება რომელიმე საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრების, ცენტრის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მახარეების მხრიდან რაიემ სახის შუამდგომლობა და აცილება განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა, შესაბამისად თავმჯდომარემ დაამტკიცა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა ლევან მადათოვმა გააკეთა კომენტარი, კერძოდ, მან განაცხადა რომ, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიასთან" დაკავშირებით საბჭომ წინა სხდომაზე, ავტორიზაციის გაუქმების ნაცვლად მიიღო ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც დაწესებულებას მიეცა საშუალება გამოეცხადებინა მიღება პროფესიული სტუდენტების ქუთაისში არსებულ დროებით მისამართზე. იქედან გამომდინარე, რომ წინა სხდომაზე დაფიქსირებული იქნა მატერიალური რესურსის სტანდარტის დარღვევა, არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი, დაწესებულებას განესაზღვრა დამატებითი ვადა აღნიშნული ხარვეზების მოსაგვარებლად და მოხდა შეთანხმება, რომ 2016 წლის 5 მაისის სხდომაზე განიხილებოდა აღნიშნული საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თამარ ვალიშვილმა და ზურაბ ჩხიკვაძემ.

ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ 21 აპრილს განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიაში", გადამოწმებული იქნა ადაპტირებული გარემოს არსებობა სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ვიზიტის დროს დადასტურდა წინა ექსპერტების დასკვნაში აღწერილი ხარვეზების გამოსწორება, კერძოდ ნიკეას ქ. №12 - ში არსებულ ფართზე სამივე სართულზე დამონტაჟებული იყო პანდუსები და ფიქსირდებოდა ადაპტირებული სველი წერტილები.

თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი იყო განსაზღვრული არსებულ მისამართზე. დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა რომ, სამომავლოდ ფიქსირდებოდა 410 სტუდენტი, მიმდინარე გახლდათ 300 სტუდენტი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი სურვილი იქნებოდა, რომ კოლეჯები ყოფილიყვნენ უფრო მეტად მობილიზებული და ორგანიზებულები და მსგავსი მონიტორინგის საკითხების განხილვა აღარ დამდგარიყო დღის წესრიგში, მეტი პატივისცემა ყოფილიყო გამოხატული საბჭოს მიმართ, ვინაიდან საბჭოს მიზანს არ წარმოადგენდა ინსპექტირება, საბჭო თავად იყო მიმდინარე პროცესების მონაწილე და თანაზიარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიის" ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ (ს/კ: 212682051) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა სხდომის მდივანს, საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომას არ ესწრებოდა დაწესებულების დირექტორი, მინდობილობით სხომას ესწრებოდნენ იზა კუპატაძე და ეკატერინე როჭიკაშვილი, რომლებმაც აღნიშნეს რომ ახალი მისულები იყვნენ დაწესებულებაში და 24 საათი მუშაობდნენ ხარვეზების აღმოფხვრაზე.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა, საქმის განხილვის დაწყებამდე გააკეთა შემდეგი კომენტარი. კერძოდ, მან განაცხადა, რომ 2015 წლის 20 ოქტომბერს განხილულ იქნა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ვინაიდან, ზემოაღნიშნულ საბჭოზე, სრულყოფილად ვერ იქნა გამოკვლეული ის გარემოება, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას იმ მისამართებზე, რომელზეც დაწესებულებას არ ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება. საბჭომ სთხოვა ცენტრს, რომ დამატებით განეხორციელებინა მონიტორინგი. ცენტრმა 2016 წლის 31 მარტსა და 1-2 აპრილს განახორციელა ვიზიტები შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, გორი, თელავი, ბათუმი, ლანჩხუთი, ხაშური, სამტრედია, საჩხერე. დასკვნები წარმოდგენილი გახლდათ თითოეული ქალაქის მიხედვით. ვინაიდან დაწესებულების ძირითადი მისამართი გახლდათ თბილისში, განხილვა დაიწყო თბილისის დასკვნით.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა: ნინო ფეტვიაშვილმა, ელენე გვენცაძემ, მაია დანელიამ, ეკატერინე გიგაშვილმა, მარინა გოგოლაძემ, თეა შაყულაშვილმა, შორენა ჯაფარიძემ, ნატო ალავიძემ და თამარ ვალიშვილმა.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ დარღვეული იყო სამივე სტანდარტი. პროგრამული ნაწილი შემოწმდა ქ. თბილისში.

**საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

დაწესებულებაში ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა რამდენიმე ბრძანება პროგრამების დამტკიცების შესახებ, ესენი გახლდათ 23.12.2011; 27.06.2013 და 02.09.2013 წლების ბრძანებები. თვითშეფასების მიხედვით დაწესებულება ახორციელებდა 25 პროფესიულ პროგრამას, პირველადი მონაცემებით დაწესებულება ახორციელებდა 35 პროგრამას, დაწესებულების დირექტორთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ რიგი პროგრამები კოლეჯში აღარ ხორციელდებოდა, რის დასტურადაც დირექტორმა წარმოადგინა 2015 წლის 25 დეკემბრის ბრძანება, რომლის თანახმად გაუქმებული იყო 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. წარმოდგენილ იქნა ახსნა-განმარტება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ჯგუფისათვის, სადაც გაწერილი იყო წარმომადგენლობები ქალაქების მიხედვით და პროგრამები, რომლებიც ხორციელდებოდა აღნიშნულ მისამართებზე. ახსნა-განმარტების თანახმად შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ეტალონი" ახორციელებდა მხოლოდ 14 პროგრამას (პირველადი 35 და თვითშეფასების მიხედვით 25 პროგრამის ნაცვლად) თბილისში, გორში, ბათუმში, საჩხერეში, რუსთავში და ხაშურში. დირექტორმა წარმოადგინა ბრძანებები ქუთაისის, სამტრედიისა და თელავის წარმომადგენლობის გაუქმების შესახებ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილი №995 (11.03.2016), რომელშიც გამგებელი

ატყობინებდა კოლეჯის დირექტორს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ქირის თანხის გადაუხდელობის გამო და პირობების დარღვევისათვის.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებიდან 12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა თბილისში (ექთნის თანაშემწისა და მასაჟისტის გარდა).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არცერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის კომპონენტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისი ბაზის არქონის გამო, არ იყო უზრუნველყოფილი სასწავლო პრაქტიკის სასწავლო კურსი ან პრაქტიკული უნარებისა და გამოყენების განხორციელების შესაძლებლობები, რაც პროგრამის თანახმად, განსაზღვრული იყო სწავლების შედეგებში, მაგალითად:

- პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის თანახმად სტუდენტს საწარმოო პრაქტიკის გავლამდე სთავაზობდნენ სასწავლო კურსებს: პრევენციული მედიცინა, ავადმყოფის მოვლა, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, სხვადასხვა დაავადებების მქონე ავადმყოფის მოვლა და სხვა ყველა აღნიშნული კურსი ითვალისწინებდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას, რაც აღწერილი იყო შედეგებში და საწარმოო პრაქტიკისათვის ერთგვარ მომზადებას გულისხმობდა.
- აღნიშნული ხარვეზები დაშვებული იყო სხვა პროგრამებშიც, მაგ: ფარმაცევტის ასისტენტის, ექთნის ასისტენტის, კრიმინალისტიკის და სხვა პროგრამებში.

სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) არ იყო გამართული შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რაც გულისხმობდა კომპონენტების ჩაშლას სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე. იდენტური შეფასება ქონდა ინგლისური ენის და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსებს. ინგლისურში არ იყო გათვალისწინებული საკომუნიკაციო უნარების შეფასების კომპონენტები. კერძოდ არ ჩანდა როგორ ფასდებოდა წერა, ლაპარაკი, კითხვა და მოსმენა. ლექციაზე დასწრება ფასდებოდა 5 ან 10 ქულით, რაც ვერ უზრუნველყოფდა შედეგების შეფასების გამჭვირვალობას.

კრიმინალისტიკის მე-3 საფეხურის პროგრამაში კრიმინალისტიკის საფუძვლების, ურთიერთობების ფსიქოლოგიის, კომპიუტერული საოფისე პროგრამების სილაბუსებში და სხვა სასწავლო კურსებში შეფასება გახლდათ იდენტური, შესაბამისობაში არ იყო პროგრამის მოთხოვნებთან, რომლის თანახმად შეფასება უნდა ყოფილიყო მრავალკომპონენტიანი. ასეთივე ხარვეზი ფიქსირდებოდა საბაჟო წარმომადგენლის მე-3 საფეხურის პროგრამის სილაბუსებში. მაგ: საქმიანი ურთიერთობები, ინგლისური ენა.

წარმოდგენილ პროგრამებში გათვალისწინებული იყო ინგლისური ენისა და საოფისე კომპიუტერული პროგრამის სასწავლო კურსები, რომლებიც სწავლების შედეგების რუკისა და სილაბუსების შესაბამისად ითვალისწინებდა მხოლოდ საკომუნიკაციო უნარის განვითარებას, ორივე კურსის შემთხვევაში მეთოდოლოგიაში მითითებული იყო ლექციები და ჯგუფში მუშაობა. განმარტებული იყო, რომ სტუდენტს შეძენილი ცოდნა და შესრულებული სამუშაო უნდა წარმოედგინა აუდიტორიის წინაშე, რაც გულისხმობდა ცოდნის, გაცნობიერების და ცოდნის პრაქტიკაში გათვალისწინებასაც საკომუნიკაციო უნარის გარდა.

ზოგიერთ სასწავლო კურსში (სილაბუსში) არ იყო მითითებული სახელმძღვანელო, ლინკი ან რიდერი, მაგ: ტელერადიორეპორტიორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში: სოციალურ საკითხთა გაშუქება ახალი ამბების გამოშვებაში, სპორტის გაშუქება ახალი ამბების გამოშვებაში. ხოლო ტუროპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში სასტუმროებისა და სარესტორნო ქსელების მენეჯმენტში ლიტერატურა გახლდათ რუსულენოვანი. პროგრამის თანახმად სწავლების ენა გახლდათ ქართული და პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ ითვალისწინებდა რუსული ენის ცოდნას, პროგრამა კი რუსული ენის სწავლებას.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში წარმოდგენილი იყო 27 პროგრამა, პროგრამების რაოდენობა შეუსაბამო იყო თვითშეფასების ანგარიშთან და არ იყო თანხვედრაში არც მონიტორინგის ვიზიტის დროს წარმოდგენილი პროგრამების ჩამონათვალთან.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ზოგადი აღწერილობა შეესაბამებოდა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. თუმცა მემორანდუმების, სილაბუსების გადამოწმებისას და მატერიალური რესურსის ხარვეზებიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესრულება შეუძლებელი იყო კოლეჯ ეტალონის პირობებში. კერძოდ: 1.1 სტანდარტიდან გამომდინარე და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში:
- კრიმინალისტის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყო საწარმოო პრაქტიკა. მატერიალური რესურსით ვერ დასტურდებოდა შედეგებით განსაზღვრული პრაქტიკული ელემენტების განხორციელება, სადაც სტუდენტი შეძლებდა საწარმოო პრაქტიკის გავლამდე შესაბამისი კომპეტენციების, კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დასკვნის უნარის განვითარებას. შედეგად, სტუდენტი აღჭურვილი იქნებოდა მხოლოდ თეორიული ცოდნით და შეუძლებელი იქნებოდა საწარმოო პრაქტიკით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაც.
- საბაჟო წარმომადგენლის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყო სასწავლო ( საქონლის გაფორმება) და საწარმოო პრაქტიკა (სტანდარტული სავაჭრო და სატრანსპორტო დოკუმენტების შედგენა). პროგრამისა და სილაბუსების გადამოწმებისას არ ჩანდა პრაქტიკისადმი გააზრებული დამოკიდებულება. პროგრამის თანახმად საწარმოო პრაქტიკა გულისმობდა სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე გაყვანას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. სწავლების მეთოდოლოგია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში იყო იდენტური. სილაბუსების თანახმად ,, პროფესიულ სტუდენტს ეძლეოდა შესაძლებლობა ორგანიზაციის ბაზაზე გაცნობილიყო კონკრეტულ სამუშაო სპეციფიკას, განეხორციელებინა მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში რეალიზება და გაეთავისებინა შრომითი ეთიკის ნორმები". გაუგებარი იყო რომელი ორგანიზაციის ბაზაზე ხდებოდა კონკრეტული სპეციფიკის გაცნობა, და რატომ იყო მითითებული ორივე სილაბუსში, თუ ეს მხოლოდ ობიექტს გულისხმობდა.
- პრატიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავადმყოფის მოვლისა და პრევენციული მედიცინის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით გათვალისწინებული იყო ,,..ავადმყოფზე დაკვირვება, მონიტორინგი და მოვლა სხვადასხვა ორგანოთა სისტემების დაავადებების დროს, სამკურნალო მანიპულაციებისა და პროცედურების ჩატარება და სხვ.", რასაც დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა მატერიალური რესურსით.
- მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იყო სასწავლო პრაქტიკის კურსები სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟის სხვადასხვა ფორმის გამოყენება. აღსანიშნავი იყო, რომ სილაბუსებში აღრეული იყო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტების მნიშვნელობა. სასწავლო პრაქტიკის გრაფაში იკითხებოდა ,,საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი შეძლებდა პრაქტიკულად შეესწავლა სამკურნალო ფიზკულტურა, შეეძინა მისი გამოყენების პრაქტიკული უნარჩვევები, გაცნობოდა მის სპეციფიკას და ა.შ.", აღსანიშნავი იყო, რომ ორივე სასწავლო კურსში ეს ჩანაწერი იყო იდენტური.

- სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის კურსი გახლდათ ,,სასცენო შემოქმედებითი პრაქტიკა", რისთვისაც 36 კრედიტი იყო გამოყოფილი, სულ 900 საათი. აქედან 630 სასწავლო პრაქტიკას ეთმობოდა, ხოლო 240 საწარმოოს. სილაბუსის თანახმად აღნიშნული სასწავლო პრაქტიკის კურსი უნდა გაევლო სასწავლო იმიტირებული სცენის ბაზაზე. ხოლო საწარმოო პრაქტიკის მიზანი გახლდათ ის რომ სტუდენტი გაცნობოდა თეატრალურ სივრცეს, სპექტაკლის დაბადებას,მხატვრის მიერ შექმნილი კოსტუმების და გრიმის მორგებას, როლის დამუშავებას, ქორეოგრაფიას, ვოკალს და განათებას, გაევლო სპექტაკლის შექმნის ყველა ეტაპი.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ესაჭიროებოდა ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში სასწავლო ბაზა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილი. დაწესებულებამ წარმოადგინა მემორანდუმები, რომელთაგანაც ზოგიერთს პირობები და ვადა გაურკვეველი ჰქონდა ან უმთავრდებოდა 2015 ან 2016 წელს.

კერძოდ, წარმოდგენილი მემორანდუმები:

1. აიპ - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი" – თავფურცელზე მითითებული იყო 2012-2016 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი); ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. შპს „ორიონ ტექნოლოჯი" - მემორანდუმი ძალაში შედიოდა ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან 4 წლის განმავლობაში, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი); კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის (ეს პროგრამა კოლეჯს არ ჰქონდა) და ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - კრიმინალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ვადები არ იყო მითითებული;
4. შპს- GAMA PROMOTION - კომპიუტერული გრაფიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მემორანდუმი ძალაში შედიოდა ხელმოწერის მომენტიდან 4 წლის განმავლობაში. ხელმოწერის ვადა არ იყო მითითებული. თავფურცელზე მითითებული იყო 2012-2016 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი).
5. შპს- თამარიონი 2002 - კომპიუტერული გრაფიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მემორანდუმი ძალაში შედიოდა ხელმოწერის მომენტიდან 4 წლის განმავლობაში. ხელმოწერის ვადა არ იყო მითითებული. თავფურცელზე მითითებული იყო 2011-2015 წლები, გაურკვეველი მისამართათით (ქალაქი).
6. შპს „TEMOTURI" - ტუროპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მემორანდუმი ძალაში შედიოდა ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან 4 წლის განმავლობაში, თავფურცელზე მითითებული იყო 2012-2016 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი).
7. შპს - გლობალსერვისი - ტუროპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მემორანდუმი ძალაში შედიოდა ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან 4 წლის განმავლობაში, თავფურცელზე მითითებული იყო 2011-2015 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი).
8. თბილისში მდებარე ნ.დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრი- სასცენო ხელოვნების ოსტატის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ხელმოწერის მომენტიდან 4 წლის განმავლობაში. ხელმოწერის ვადა არ იყო მითითებული. თავფურცელზე მითითებული იყო 2013-2017 წლები,
9. რადიოქალაქი FM 101.9 - კორესპონდენტისა და ტელერადიორეპორტიორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; მემორანდუმი ძალაში შედიოდა

ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან 4 წლის განმავლობაში, თავფურცელზე მითითებული იყო 2012-2015 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი).

10. შპს გამომცემლობა ეტალონი - ტელერადიორეპორტიორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მემორანდუმი ძალაში შედიოდა ხელის მოწერიდან 4 წლის განმავლობაში.
11. შპს - ვიტაფარმი- ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მემორანდუმი ძალაში შედიოდა ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან 4 წლის განმავლობაში, თავფურცელზე მითითებული იყო 2012-2016 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი).
12. შპს- „ფარმ-მედ-გეო" - ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მემორანდუმი ძალაში შედიოდა ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან 4 წლის განმავლობაში, თავფურცელზე მითითებული იყო 2011-2015 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი).
13. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ - ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ხელმოწერის მომენტიდან 4 წლის განმავლობაში, თავფურცელზე მითითებული იყო 2012-2016 წლები, გაურკვეველი მისამართით (ქალაქი).

1.6 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებდა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შემუშავებული იყო მხოლოდ შეფასების სპეციალური გამოკითხვის ფორმები, რომლებიც არ იყო შევსებული. არ არსებობდა შესაბამისი ანალიზი ან რაიმე სხვა დოკუმენტი.

**მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

კოლეჯს იჯარის ხელშეკრულებით მფლობელობაში ჰქონდა ქ. თბილისში, ჯანო ბაგრატიონის №6 - ში მდებარე შვიდ სართულიანი შენობის მე-3 სართულის ოთხი ოთახი და მეოთხე სართული. საჯარო რეესტრის ამონაწერი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. შენობის მესამე სართულზე მდებარე 3 ოთახი განკუთვნილი იყო ადმინისტრაციის პერსონალისათვის. მეოთხე სართულზე იყო 11 აუდიტორია. ვიზუალური დათვალიერებით სასწავლო ფართი აღჭურვილი იყო სკამებით, მაგიდებით და კომპიუტერებით. კერძოდ, 63 სკამი, 55 ერთადგილიანი და ორი 6-ადგილიანი მაგიდა (12 ადგილი), 33 სამადგილიანი მერხი (99 ადგილი), 12 კომპიუტერი, რომელთაგანაც 2 კომპიუტერი იყო მუშა მდგომარეობაში. ინტერნეტტთან წვდომა ჰქონდა ერთ კომპიუტერს, 2 მონიტორი და დაფები.წიგნად ფონდზე გაფორმებული იყო მხოლოდ ჩუქების ხელშეკრულება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სათანადო ინვენტარი და აღწჭურვილობა რითაც სტუდენტი შეძლებდა პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებზე გასვლას დაწესებულებას არ გააჩნდა.

კოლეჯში არ იყო ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, მხოლოდ მეოთხე სართულზე იყო სველი წერტილები, ვიზუალურად არ იყო გათბობის ცენტრალური სისტემა, თუმცა დირექტორის განმარტებით ეკონომიის მიზნით არ გამოიყენებოდა გათბობა. მხოლოდ სამ აუდიტორიაში იყო ელექტროგამათბობელი.

კოლეჯში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. თუმცა სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული ლიტერატურის უმრავლესობა ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა.

კოლეჯში არსებული შემოსული და გასული წერილების, გაცემული დიპლომების და ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები არ იყო შესაბამისი წესით დაცული.

კოლეჯს არ ჰქონდა ადაპტირებული შესასვლელი.

კოლეჯის ვებგვერდი არ იყო განახლებული 2015 წლიდან. განთავსებული ინფორმაცია იყო მოძველებული (პროგრამები, კატალოგი და სხვ.).

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები. წარმოდგენილი სტრატეგიული განვიტარების ერთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა 2011-2012 წლებს, ხოლო ექვსწლიანი 2011-2017 წლებს.

**ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასწავლებელთა პირად საქმეებში ვერ მოიძებნა პროგრამებით განსაზღვრულ მასწავლებელთა პირადი საქმეები. ექსპერტთა მოთხოვნის შედეგადდაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამების განმახორციელებელ მასწავლებელთა ჩამონათვალი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, თუმცა გამოკვეთილ იქნა შემდეგი ხარვეზები:

- მასწავლებელს ლ. ბოსტაშვილს, მ. ღვინჯილიას არ ჰქონდათ პირად საქმეში კვალიფიკაციის ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- მასწავლებელი თ. გურაშვილი, რომელსაც ჰქონდა ექიმის კვალიფიკაცია, სამედიცინო მიმართულების სასწავლო კურსებთან ერთად ასწავლიდა ურთიერთობის ფსიქოლოგიას და ზოგადი ფსიქოლოგიის საფუძვლებს - კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა.
- ნ. ტაბიძე მითითებული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასწავლებელთა ჩამონათვალში ტელერადიოოპერატორის პროგრამის რამოდენიმე სასწავლო კურსის მასწავლებლად. ამავე დროს არსებობდა დაწესებულების დირექტორის 25.12.2015 წლის № 24 ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ.
- ყველა პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის - საწარმოო პრაქტიკის, ამავე დროს სასწავლო კურსების: საქართველოს კულტურულ-ტურისტული რესურსები (ტუროპერატორი), სასცენო ხელოვნების ოსტატობა1, ვოკალი 1, სასცენო ხელოვნების ოსტატობა 2, ვოკალი 2, შესავალი მსოფლიო თეატრის და კინოს ისტორიაში, როლები და ლიდერობა სოციალურ ჯგუფებში (სასცენო ხელოვნების ოსტატი), საოპერატორო ხელოვნება (ტელერადიოოპერატორი), განმახორციელებელი პერსონალი არ იყო მითითებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასწავლებელთა ჩამონათვალში, შესაბამისად კვალიფიკაციები ვერ დადგინდა.

  3.3 მონიტორინგის მეორე დღეს (1 აპრილს) დაწესებულების მიერ მოწოდებულ კოლჯში 2014 და 2015 წლებში ჩარიცხულთა სიების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 315-ს, ხოლო მასწავლებელთა რაოდენობა 33-ს, შესაბამისად სტუდენტთა და მასწავლებელთა თანაფარდობა იყო 315/33. ვიზიტის შემდეგ, რუსთავის წარმომადგენლობაში მონიტორინგის დროს (2 აპრილს), დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა კიდევ ორი სია. პირველი სიის მიხედვით სტუდენტების რაოდენობა იყო 74, ხოლო მეორე სიის მიხედვით 65. თბილისში მონიტორინგის დროს, ექსპერტებმა დაათვალიერეს აუდიტორიები, სადაც ლექციებს ესწრებოდა 15-მდე სტუდენტი. შესაბამისად ექსპერტების მიერ სტუდენტების ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა.

რუსთავი:

**მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით რუსთავში იგეგმებოდა მხოლოდ ორი პორგრამის განხორციელება, კერძოდ კრიმინასლისტის მესამე საფეხურის და ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა წარმოდგენილი ინვენტარით და აღჭურვილობით არ იყო შესაძლებელი. კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყო საწარმოო პრაქტიკა. მატერიალური რესურსით ვერ დასტურდებოდა შედეგებით განსაზღვრული პრაქტიკული ელემენტების განხორციელება. კერძოდ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დასკვნის უნარის განვითარების. სტუდენტი აღჭურვილი იქნებოდა მხოლოდ თეორიული ცოდნით და შეუძლებელი იქნებოდა საწარმოო პრაქტიკით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაც.
კოლეჯში იყო 8 აუდიტორია. ოთხ აუდიტორიას არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. ერთ აუდიტორიას არ ჰქონდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. იყო ორი სველი წერტილი ქალებისა და მამაკაცებისათვის ( მამაკაცების სველ წერტილში არ იყო წყალი). გათბობის საშუალებად მომავალში გათვალისწინებული იყო სამი ელექტრო გამათბობელი.

ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის ოთახში იყო მხოლოდ ორი სკამი, ერთი ორადგილიანი მაგიდა, ნოუთბუქი, კრიმინალისტიკის პროგრამისათვის გათვალისწინებული რამოდენიმე სახელმძღვანელო.

კოლეჯში არ მიმდინარეობდა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.
კოლეჯში არ იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, ცეცხლმაქრი იყო კოლეჯის საკუთრებაში, მაგრამ არ იყო შენობაში. ევაკუაციის გეგმა არ ეკუთვნოდა კოლეჯს. კოლეჯს არ ჰქონდა წესრიგის დაცვის მექანიზმები.
კოლეჯის კიბეებზე მიმაგრებული იყო ხის პანდუსები, ხოლო ადაპტირებული სველი წერტილი იყო მხოლოდ ქალების სველ წერტილში.
ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდი, რომელიც არ იყო განახლებული 2015 წლის მერე და მასში ვერ მოიძებნა ინფორმაცია რუსთავის წარმომადგენლობის შესახებ.
კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები. სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მხოლოდ 2011-2012 წლებს, ხოლო ექვსწლიანი 2011-2017 წლებს.

**ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი პირადი საქმეებით დადგინდა რომ დაწესებულებას ჰყავდა 11 თანამშრომელი, 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი (დირექტორი, ოფისის მენეჯერი, ექიმი და დამლაგებელი). ყველა პედაგოგის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა, პირად საქმეში კვალიფიკაციის ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების არ არსებობის გამო ვერ მოხერხდა. კერძოდ:

- ტატიანა ბუხტიაროვა ხელშეკრულების თანახმად კრიმინალისტის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში კითხულობდა ურთიერთობის ფსიქოლოგიის კურსს. პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი. არსებობდა მხოლოდ ცნობა, რომლის თანახმად ტატიანა ბუხტიაროვას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრიდან ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო.

- ნინო ლონდარიძე - ხელშეკრულების თანახმად ოფის მენეჯერის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კითხულობდა შემდეგ სასწავლო კურსებს: საარქივო საქმიანობა; საერთო და სპეციალური საქმის წარმოება, სამდივნო ფუნქციები, საქმისწარმოება. პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტს წარმოადგენდა ცნობები სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებში წამყვან სპეციალისტად მუშაობის შესახებ (ვადა მითითებული არ იყო). კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას.
- ბაბულია ზუკაკიშვილი- ხელშეკრულების თანახმად კითხულობდა საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების და საქმიანი შეხვედრების ორგანიზაციის კურსებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომით იყო გერმანისტი (კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას).

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. კერძოდ:

- ბაბულია ზუკაკიშვილი ხელშეკრულების თანახმად კითხულობდა საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების და საქმიანი შეხვედრების ორგანიზაციის კურსებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომით იყო გერმანისტი (კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას).
- ნინო ლონდარიძე - ხელშეკრულების თანახმად ოფის მენეჯერის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კითხულობდა შემდეგ სასწავლო კურსებს: საარქივო საქმიანობა; საერთო და სპეციალური საქმის წარმოება, სამდივნო ფუნქციები, საქმისწარმოება. პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტს წარმოადგენდა ცნობები სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებში წამყვან სპეციალისტად მუშაობის შესახებ (ვადა მითითებული არ იყო). კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელებს და მოსთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეთანხმებოდნენ გამოთქმულ შენიშვნებს. მონიტორინგის განხორციელების პერიოდში დაწესებულებაში შეიცვალა და მიღებული იყვნენ ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლები, თავად 2016 წლის მარტიდან იყვნენ დასაქმებულნი და შესაბამისად რიგ შეკითხვებზე ვერ გასცემდნენ პასუხს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფიქსირდებოდა მთელი რიგი პრობლემები, რომლებზეც დაუყოვნებლივ უნდა გაცემულიყო პასუხები, მას უკვირდა რატომ გამოაგზავნა დაწესებულებამ ახალი თანამშრომელი ასეთ პრობლემურ საკითხზე სამსჯელოდ. მას აინტერესებდა რატომ ჰქონდათ გამოცხადებული სტუდენტების მიღება, როდესაც ისინი იხდიდნენ და უნდა გადაეხადათ სწავლის საფასური ფაქტიურად არაფერში ვინაიდან არ იყო პროგრამები, ადამიანური რესურსი და არ ფიქსირდებოდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს გაეწიათ მათთვის ანგარიში და მიეცათ ვადა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2012 წელს და მოცემულობის მიხედვით მას შემდეგ ხდებოდა სტუდენტების მოტყუება.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ მიმართა ექსპერტებს რომლებიც ბრძანდებოდნენ სხვადასხვა რეგიონებში ხომ არ ჰქონდათ რაიმე დასამატებელი და სთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ როდესაც დარღვეული იყო სამივე სტანდარტი, რომელიც შემდეგ იშლებოდა ქვესტანდარტებად და თითქმის არცერთი პუნქტი არ იყო

შესრულებული, ასეთი ვითარების გამოსწორება უკავშირდებოდა სირთულეებს. როდესაც სტანდარტი ვერ სრულდებოდა თბილისში, რეგიონებზე აღარც იყო საუბარი, გასათვალისწინებელი გახლდათ ისიც რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად დაწესებულებას ჰქონდა 6 თვიანი ვადა, ოქტომბრიდან საბჭოს დღემდე.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ მიმართა წარმომადგენლებს, მას შემდეგ რაც ისინი დაინიშნენ თუ დაინტერესდნენ და გაუჩნდათ სურვილი წასულიყვნენ და ენახათ თუ რა ვითარება იყო რეგიონებში, თუმცა საბჭოს წევრმა ირაკლი პეტრიაშვილმა დააფიქსირა აზრი რომ, რეგიონებში ხელმძღვანელობას უნდა გაეშვა თანამშრომლები ვითარების შესასწავლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯს ჰყავდა რეგიონალური თანამშრომელი რომელიც ასევე ახალი მიღებული იყო სამსახურში, თუმცა რეგიონებში დადიოდა დაწესებულების დირექტორი ზვიად ხაჭაპურიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრება გახლდათ ის, რომ დაწესებულებას მოუწევდა საქმის თავიდან დაწყება, რაც გულისხმობდა ავტორიზაციის თავიდან მოპოვებას ვინაიდან საბჭო ვერ დაუშვებდა არაფერში ავტორიზებული კოლეჯის სახელის ტარების უფლებას. კოლეჯის ხელმძღვანელობას უნდა აეღო პასუხიმგებლობა მის თანამშრომლებზე და პირველ რიგში იმ სტუდენტებზე ვისთანაც შედიოდა ფინანსურ ურთიერთობაში, ახდევინებდა გადასახადს, არ სთავაზობდა სერვისს და რეალურად ყიდდა დიპლომებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა წინა წელს რამდენი კურსდამთავრებული ყავდა დაწესებულებას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ ფლობდა ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, ვინაიდან იყო ახალი თანამშრომელი, თუმცა ამ ეტაპზე კოლეჯს ჰყავდა 150 სტუდენტი ხოლო რეგიონებში ფიქსირდებოდა ასამდე სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს გაეცნოთ საბჭოსთვის რეგიონეში განხორციელებული მონიტორინგის დასკვნები.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გორის და ხაშურის ფილიალის თაობაზე წარმოადგინა ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ იმყოფებოდა გორის და ხაშურის ფილიალში ექსპერტ მარინა გოგოლაძესთან ერთად და დააფიქირა შემდეგი გარემოებები:

ვიზიტის განხორციელებისას დაწესებულების მხარე წარმოადგინა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამილა კეკოშვილმა. ექსპერტების მოთხოვნაზე წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ წარმოდგენილი ყოფილიყო ბრძანება, თამილა კეკოშვილმა განაცხადა, რომ საქმისწარმოება მიმდინარეობდა ქ. თბილისში, სათაო დაწესებულებაში, ყველა საჭირო დოკუმენტი ინახებოდა თბილისში და ამ მიზეზით ვერ შეძლო არსებული მდგომარეობის დოკუმენტურად დადასტურება. წარმომადგენლის განცხადებით საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის გორის ოფისში ფუნქციონირებდა ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები ინახებოდა თბილისში. ვიზიტის განხორციელების პერიოდში ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ვერც ერთი მოთხოვნილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ან ადამიანური რესურსის ან მატერიალური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას.

**მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

დაწესებულების შენობის პირველ სართულზე განლაგებული იყო სველი წერტილი საერთო სარგებლობისათვის, იყო საკლასო ოთახი რამოდენიმე მერხით და დამხმარე სათავსოები. შენობის მეორე სართულზე განთავსებული იყო საკლასო ოთახები, ერთ ერთს ეწერა ბიბლიოთეკა, რომელშიც არ იყო წიგნები. სამედიცინო ოთახში არ იყო არცერთი მედიკამენტი.

დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა არსებული ინვენტარის მართლზომიერი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებაში არ იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათებისა და გათბობის საშუალებები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და ინტერნეტმომსახურების საფასურის გადახდის ქვითრები, ვიზიტის პერიოდში აუდიტორია თბებოდა შეშის ღუმელით. წარმომადგენლობასთან გასაუბრებისას ვერ დადგინდა ელექტროენერგიითა და ინტერნეტით სარგებლობა, ვერ იყო წარმოდგენილი შესაბამისი მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულება მდებარეობდა სკოლის შენობაში, წარმომადგენლის განცხადებით საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს შეეძლოთ ესარგებლათ სკოლის ბიბლიოთეკით. სკოლის ბიბლიოთეკის გადამოწმებისას დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა. ვერ მოხერხდა სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გადამოწმება ვინაიდან პროგრამები არ იყო წარმოდგენილი გორის ფილიალში. ერთ ერთ მასწავლებელთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი აწერინებდა სტუდენტს კონსპექტს ან აძლევდა პირადი წიგნებით სარგებლობის საშუალებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სკოლასა და კოლეჯს შორის გაფორმებული იყო მემორანდუმი ბიბლიოთეკით და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესახებ, თუმცა როგორ იყო გამიჯნული კომპიუტერული ტექნიკით და ბიბლიოთეკით სარგებლობა აღნიშნულზე ინფორმაცია ვერ იქნა მოპოვებული.

დაწესებულების მართვისა და ადმინისტრირებისათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არ გამოიყენებოდა მათი არ არსებობის გამო. დაწესებულებაში არ იყო კომპიტერი და უწყვეტი ინტერნეტის წყარო.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. დაწესებულებას არ გააჩნდა საქმისწარმოების ერთიანი წესი.

შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო ერთი ერთეული ცეცხლმაქრი საშუალება. გამოკრული იყო დაწესებულების მიერ შექმნილი ევაკუაციის გეგმა, რომელიც არ იყო სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული. დაწესებულბამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, მაგრამ ყავდა ექთანი, ჰქონდა სამედიცინო ოთახი, მაგრამ არ იყო მედიკამენტები, უსაფრთხოების მიზნით დაწესებულებას ყავდა დარაჯი, თუმცა საშტატო ნუსხის არ ქონის გამო ვერ დადასტურდა საშტატო ნუსხაში დარაჯის და ექთნის პოზიციები. დოკუმენტაციის გადამოწმებისას დადგინდა, რომ ხელშეკრულებით, ერთ პიროვნებაზე იყო გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ერთდროულად ასრულებდა დამლაგებლის და დარაჯის ფუნქციებს.

შენობა მდებარეობდა ქალაქის გარეუბანში და საავტომობილო გზიდან ეზოში ჩასასვლელად მიშენებული იყო პანდუსი, ეზოდან კოლეჯისათვის განკუთვნილ ფართს ასევე ჰქონდა მიდგმული პანდუსი რაც იძლეოდა პირველ სართულზე შეღწევის საშუალებას, მაგრამ მეორე სართულზე გადაადგილება სადაც განთავსებული იყო აუდიტორიები იყო შეუძლებელი.

ვერ მოხერხდა დაწესებულების ვებგვერდზე შესვლა შენობაში ინტერნეტის არ არსებობის გამო.

დაწესებულებას არ გააჩნდა განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

**ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

დაწესებულაბმ ვერ წარმოადგინა საშტატო ნუსხა, მაგრამ ზეპირი განმარტებით დადგინდა, რომ დაწესებულებას ჰყავდა შემდეგი პერსონალი: გორის წარმომადგენლობის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დარაჯი, დამლაგებელი, ექთანი.

გასაუბრებით დადგინდა, რომ არ არსებობდა მასწავლებელთა შერჩევის პროცედურა, თუმცა მათი კვალიფიკაციების გადამოწმებისას შეუსაბამობა არ დადგინდა.

დაწესებულებაში ექსპერტების ვიზიტისას ვერ დადგინდა მასწავლებელთა შერჩევის პროცედურის შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

ექსპერტმა წარმოადგინა ხაშურის ფილიალის დასკვნა.

როგორც გორის ანალოგიურად ხაშურის ფილიალშიც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა საჭირო დოკუმენტაცია ინახებოდა თბილისში, შესაბამისად ხაშურის ფილიალში არსებული მდგომარეობის დოკუმენტურად გადამოწმება ვერ მოხერხდა, ვერ იქნა წარმოდგენილი რამოდენიმე დოკუმენტი, რომელიც ავტორიზაციის სატნდარტებთან შესაბამისობას დაადასტურებდა.

**მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

დაწესებულებამ წარმოადგინა ქ. ხაშურში, ტაბიძის № 7 განთავსებული შენობის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 69.08.58.059, კერძოდ იჯარის ხელშეკრულება 220 კვ.მ ფართის ფლობის თაობაზე რომელიც მოიცავდა მონაცემებს 2012 წლის მიხედვით, დაწესებულებაში ინტერნეტის არ არსებობის გამო ვერ იქნა გადამოწმებული წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ინფორმაციის შესაბამისობა რეალობასთან. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ინვენტარის და ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ფლობის დოკუმენტაცია.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ელექტროენერგიის, წყლის, გაზის, ინტერნეტის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

დაწესებულების ბიბლიოთეკის გადამოწმებისას დადგინდა შემდეგი: პროგრამებისათვის - კრიმინალისტი და ოფისის მენეჯერი - სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურიდან იყო რამოდენიმე სახელმძღვანელო, მაგრამ მათი ფლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა დაწესებულებამ. ოფისის მენეჯერის პროგრამისათვის: ურთიერთობის ფსიქოლოგია - ,,პიროვნების ფსიქოლოგიის" ზოგადი კურსი - ექსპერტების მიერ ვერ მოიძებნა, ასევე ,,საერთო და სპეც საქმის წარმოება" სასწავლო კურსისათვის საქმისწარმოების ერთიანი წესები - არ იყო, პროგრამისათვის კრიმინალისტი სასწავლო კურსი - საოფისე კომპიუტერული პროგრამები რ.სიჭინავას microsoft word 2007 არ იყო. სასწავლო კურსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალიდან ის სახელმძღვანელოები, რომელიც აღმოჩნდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში ვერ დაუდასტურდებოდა დაწესებულებას ვინაიდან არ იყო აღრიცხული, გატარებული საბიბლიოთეკო წესების დაცვით, ბიბლიოთეკას არ გააჩნდა საბიბლიოთეკო კატალოგი.

დაწესებულების მართვისა და ადმინისტრირებისათვის იყო ერთი კომპიუტერი, პრინტერი, რომლის ფლობის დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა დაწესებულებამ. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებისათვის დაწესებულების ერთ აუდიტორიაში განთავსებული იყო 5 კომპიუტერი, მაგრამ აღნიშნული ტექნიკის ფლობის დადასტურებაც ვერ მოხერხდა.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები და საქმისწარმოების ერთიანი წესის ქონაც ვერ დაადასტურა. აღნიშნული გარემოება დაწესებულებამ ახსნა იმით, რომ გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას აწარმოებდნენ თბილისში.

დაწესებულება ფლობდა სათანდო ორგანიზაციის მიერ შედგენილ საევაკუაციო გეგმას, თუმცა არ გააჩნდა ხანძრასაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრი საშუალებები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, არ ჰქონდა სამედიცინო ოთახი, მედიკამენტები, თუმცა წარმომადგენლის განცხადებით მათ ყავდათ ერთ ერთი თანამშრომელი რომელიც იყო კვალიფიციური ექიმი და საჭიროების შემთხვევაში შეიძენდნენ მედიკამენტებსაც. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შენობაში ჩასასვლელი იყო ქუჩიდან, რომელიც არ იყო ადაპტირებული, თუმცა შენობაში სართულიდან სართულზე გადაადგილების შესაძლებლობა შესაძლებელი იყო ე.წ ხის პანდუსებით, სველი წერტილი იყო შენობის პირველ სართულზე, სადაც დაწესებულების განმარტებით ადაპტირდა ტუალეტი, თუმცა კარის ზომა არ შეესაბამებოდა ეტლის ზომას.

ვერ გადამოწმდა დაწესებულების ვებგვერდის საინფორმაციო-საკომუნიკაციო დანიშნულება ვინაიდან დაწესებულებაში არ იყო ინტერნეტი, შესაბამისად ვერ დადგინდა რამდენად განახლებადი იყო ინფორმაცია და რამდენად შესაძლებელი იყო ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღება.

დაწესებულებას არ გააჩნდა განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

**ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საშტატო ნუსხა, წარმომადგენლის ზეპირი განმარტებით დადგინდა, რომ შრომითი ხელშეკრულებები დასაქმებულთა კვალიფიკაციის შესაბამისად იქნა გაფორმებული. დაწესებულებას ჰყავდა: ხაშურის წარმომადგენლობის დირექტორი, საქმის წარმოების მენეჯერი და დამლაგებელი.

დადგინდა რომ დაწესებულბაში არ არსებობდა მასწავლებელთა შერჩევის პროცედურა. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით შრომითი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული 6 პროფესიულ მასწავლებელთან. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან მხოლოდ კრიმინალისტის პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელს - სამსონიძე ვალერიანს, მის მიერ წარმოდგენილი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (HB №755649) , გაცემული იყო 1986 წლის 25 ივლისს ხაბაროვსკის შსს უმაღლეს სკოლისმიერ სამართალმცოდნეობის კავლიფიკაციით. მას არ ჰქონდა განათლების აღიარების დოკუმენტი წარმოდგენილი და არც დოკუმენტის თარგმანი მოიძებნა.

დაწესებულებაში ვიზიტისას ვერ დადგინდა მასწავლებელთა შერჩევის პროცედურის არსებობა. გადამოწმდა მხოლოდ მათთან დადებული ხელშეკრულებები.

ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა წარმოადგინა ბათუმის ფილიალში განხორციელებული მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

**საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ეტალონი" ბათუმის წარმომადგენლობაში განთავსებული სარეკლამო ბანერების, ბუკლეტების და კოლეჯის ვებ გვერდის თანახმად (დანართი 1) ,,ეტალონის" ბათუმის წარმომადგენლობა აცხადებდა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: მემინანქრე, იუველირი, თექა, გობელენი, ფარდაგი, ტანსაცმლის მოდელირება, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, კვალიფიცირებული ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, ექთნის ასისტენტი, მასაჟისტი, კორესპონდენტი, ტელე-რადიო

რეპორტიორი, კომპიუტერული გრაფიკა, ინფორმაციული ტექნოლოგი, კრიმინალისტიკა, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, ტურ-ოპერატორი, ოფისის მენეჯერი, საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი და საბაჟო წარმომადგენელი (აღსანიშნავი იყო, რომ ექთნის, გობელენისა და ფარდაგის სპეციალობებზე კოლეჯს ავტორიზაცია მიღებული არ ჰქონდა). დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიღება ცხადდებოდა ყველა ავტორიზებულ პროფესიულ პროგრამაზე და თუ გამოიკვეთებოდა, რომ რომელიმე პროგრამაზე იყო მოთხოვნა შემდეგ მოხდებოდა დაწესებულების მხრიდან პროგრამის შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით აღჭურვა. ამ ეტაპზე დაწესებულების ბაზა მხოლოდ მერხებით, სკამებით, მოდელირებული მერხ/სკამებით და რამდენიმე ერთეული კომპიუტერით შემოიფარგლებოდა.

დაწესებულება ამ ეტაპზე ახორციელებდა 5 პროგრამას: ფარმაცევტის თანაშემწე ( V საფეხური), კრიმინალისტი (III საფეხური), საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი (II საფეხური), საბაჟო წარმომადგენელი (III საფეხური) და ოფისის მენეჯერი ( III საფეხური) . მითითებულ პროგრამებზე სულ სწავლობდა 123 პროფესიული სტუდენტი. მათ შორის: ფარმაცევტის თანაშემწე - 14 პროფესიული სტუდენტი; კრიმინალისტი - 21 პროფესიული სტუდენტი; საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი - 37 პროფესიული სტუდენტი; საბაჟო წარმომადგენელი - 15 პროფესიული სტუდენტი; ოფისის მენეჯერი - 36 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტებმა დაწესებულებაში ვერ მოიპოვეს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესაბამისი ბრძანება ან ბრძანების ასლი ( წარმომადგენლის განმარტებით ყველა დოკუმენტი ინახებოდა კოლეჯის თბილისის განყოფილებაში). დაწესებულებაში სტუდენტთა არსებობა დასტურდებოდა მხოლოდ წარმოდგენილი სიებითა და ე.წ ,,ჟურნალებით".

ვიზიტის დროს მიმდინარე საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამები ადგილზე არ აღმოჩნდა. დაწესებულებაში არსებობდა მხოლოდ სილაბუსებიდან ამოღებული სასწავლო კურსების თემატიკა. ექსპერტების მოთხოვნის შემდეგ პროგრამები გადმოგზავნილი იქნა თბილისიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სიებსა და სასწავლო ცხრილებში მითითებული იყო პროგრამის სახელწოდება ,,ფარმაცევტის თანაშემწე", თუმცა თბილისის კოლეჯის განყოფილებიდან გადმოგზავნილი პროგრამის სახელწოდება იყო ,,ფარმაცევტის ასისტენტი".

საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ეტალონი" დებულების ( რომლის დამტკიცების ბრძანებაც ვერ იქნა წარმოდგენილი) მე-5 მუხლის 5.4 პუნქტის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებდა ბრძანებით და ბრძანების რეკვიზიტები დაიტანებოდა თითოეულ კურიკულუმსა და სილაბუსზე. იქედან გამომდინარე, რომ არა თუ სილაბუსებზე, არამედ პროგრამაზეც არ იყო დატანებული ბრძანების რეკვიზიტები და ბრძანებაც ადგილზე არ მოიპოვებოდა, დაუდგენელი გახლდათ წარმოადგინეს თუ არა დირექტორის მიერ დამტკიცებული და ავტორიზებული პროგრამები.

**მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

შპს საზოგადეობრივი კოლეჯის „ეტალონი" თვითშეფასების წლიური ანგარიშის მიხედვით, კოლეჯის ბათუმის წარმომადგენლობა ფლობდა საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე 640 კვ.მ. ფართს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N13. ვიზიტის დროს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვერ დაადასტურეს საიჯარო ხელშეკრულების არსებობა აღნიშნულ ფართზე.

ექსპერტების მიერ მოპოვებულ იქნა რამოდენიმე ურთიერთგამომრიცხავი საბუთი ფართის იჯარით ფლობის თაობაზე. კერძოდ, წარმოდგენილ იქნა უძრავი ნივთის იჯარის შესახებ 2012 წლის 31 მაისის ხელშეკრულება (დანართი N3). ამ ხელშეკრულების თანახმად, იჯარა ფართის მფლობელს და კოლეჯს შორის გაფორმებული იყო 5 წლის ვადით, 2012 წლის 1 ივნისიდან 2017 წლის 1 ივნისამდე 870 კვ.მ. ფართზე (მისამართი: ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N13, – 5 სართულიანი შენობის პირველი ფლიგელის მე–4 სართული). აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულება არ იყო ფიქსირებული საჯარო რეესტრში.

ასევე, კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგელი იქნა 27/10/2012 წ. დათარიღებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ( დანართი N2), რომლის თანახმად, კოლეჯი იჯარით ფლობდა 667,8 კვ.მ. ფართს ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N13–ში – თუმცა ამონაწერის შესაბამისი ხელშეკრულება ან ხელშეკრულების ასლი კოლეჯის ბათუმის წარმომადგენლობის დირექტორმა ვერ წარმოადგინა.

ამავდროულად, ექსპერტების მიერ მოპოვებული იქნა კიდევ ორი საბუთი: „შეთანხმება N1 – უძრავი ნივთის იჯარის შესახებ – 31.07.2014 წ." – საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (გაურკვეველი იყოთუ რომელ საიჯარო ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება – ორიგინალი ვერ იქნა ნაპოვნი: ზემოაღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ცვლილება შეტანილი იყო 2012 წლის 01 ივნისის საიჯარო ხელშეკრულებაში). ცვლილებას სავარაუდოდ ხელს აწერდა ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელი – ამირან მესხიშვილი (დირექტორ ზვიად ხაჭაპურიძის ნაცვლად) (დანართი N 4).

ბოლო საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც იქნა წარმოდგენილი კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, გაფორმებული იყო 01.09.2015 წ. და ხელმოწერილი იყო ასევე ა. მესხიშვილის მიერ (დანართი N5). უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის დებულების მიხედვით ა. მესხიშვილი არ იყო უფლებამოსილი პირი, წინამდებარე ხელშეკრულება არ იყო გატარებული საჯარო რეესტრში და ამ ეტაპზე იყო ვადაგასული – იჯარის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო 2015 წლის 31 დეკემბრამდე. ამ ხელშეკრულების თანახმად, შემცირებული იყო საიჯარო თანხა და იჯარით აღებული ფართი შეადგენდა 450 კვ.მ2 (ნაცვლად 667,8 კვ.მ2 – ამ ფართზე ჰქონდა დაწესებულებას აღებული ავტორიზაცია). ამრიგად, ბათუმში საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ეტალონის" ფართის ფლობასთან დაკავშირებით არსებობდა ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტაცია: საჯარო რეესტრის მონაცემები და წარმოდგენილი ვადაგასული იჯარის ხელშეკრულებები.

საკითხის გარკვევის მიზნით, ექსპერტები შეხვდნენ ,,მეიჯარის" სოფიო პაპუნიძის წამომადგენელ გურამ პაპუნიძეს. მისი განმარტებით, ,,ეტალონთან" მიმართებაში ძალაში იყო 2015 წლის პირველი სექტემბრის იჯარის ხელშეკრულება და ამ ეტაპზე კოლეჯი არსებული ხელშეკრულების თანახმად ფლობდა ფართს - 450 კვ.მ ოდენობით. თუმცა, კოლეჯი ვერ ახერხებდა იჯარის დროულ გადახდას და ამ ეტაპზე კოლეჯს ჰქონდა დავალიანება მეიჯარისადმი 29 000 ( ოცდაცხრა ათასი) ლარის ოდენობით.

ექსპერტების მიერ გადამოწმებული იყო არსებული ფართი. ნახაზის მიხედვით და ფაქტიური აღწერის შედეგად ფიქსირდებოდა განსხვავებული ფართი – 579,68 კვ.მ.

დაწესებულების სასწავლო ფართი წარმოდგენილი იყო 8 სასწავლო აუდიტორიით, რომელიც არასათანადოდ იყო აღჭურვილი სასწავლო პროცესის განხორციელებისა და დაწესებულების მიზნების, პროგრამების სწავლის შედეგების რეალიზებისთვის. კერძოდ, ვიზუალური შემოწმების შედეგად დაფიქსირებული იქნა შემდეგი სასწავლო ინვენტარი: მერხი - 23 ცალი, სკამი - 72 ცალი, სკამი საწერი დაფით - 21 ცალი, მაგიდა - 11 ცალი; დაფა- 7 ცალი; გრძივი მაგიდა - 6 ცალი; გრძივი სკამი - 5 ცალი; ბარის სკამი - 3 ცალი; კომპიუტერი - 9 ცალი (6 მუშა მდგომაერეობაში, 3 გაუმართავი).

კოლეჯის ძირითად სასწავლო ფართზე ვერ იქნა ნანახი სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიები, სასწავლო თვალსაჩინოებები. სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა მოპოვებული ექსპერტების მიერ. ადმინისტრაციის განმარტებით, ყველა ფინანსური დოკუმენტი ინახებოდა თბილისში, კოლეჯის ძირითადი ადგილმდებარეობის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები და მემორანდუმები:

1) ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით – შპს „გლუკოზა" - სთან (29.08.2015წ), შპს „ფარმავიტა" - სთან (30.08.2015წ), შპს „ვიტაფარმთან" (8.08.2012წ);

2) ოფისის მენეჯერის პროფესიული პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით –აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – სააქრქივო საამართველოსთან (07.02.2015);
3) კრიმინალისტიკის პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან გაფორმებული 2012 წლის 5 იანვრის ურთირთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ამავე მემორანდუმის 5.1 პუნქტის თანახმად ძალაში იყო 2012-2013 აკადემიური წლის განმავლობაში და შესაბამისად, იყო ძალადაკარგული. ( დანართი N12);
4) საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის, საბაჟო წარმომადგენელის პროფესიული პროგრამის ფარგლებში ვერ იქნა მოპოვებული პრაქტიკის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულება. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, ამ პროგრამისათვის აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას უზრუნველყოფდა თბილისის კოლეჯის განყოფილება.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „გლუკოზასთან" და ,,ფარმავიტასთან გაფორმებულ „ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული მოქმედების ვადა: მუხლი 6–ის თანახმად, მითითებული იყო მხოლოდ გარემოება, რომ ხელშეკრულება ვადაში შედიოდა მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებდა მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადის განმავლობაში, ვადა კი არ იყო განსაზღვრული. (დანართი N6 და N7).

შპს „ვიტაფარმთან" გაფორმებული იყო მემორანდუმი ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თაობაზე. მემორანდუმის მეორე პუნქტის, მუხლი 1.4–ს შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდებოდა თანდართული დანართი N1–ს შესაბამისად, თუმცა აღნიშნული დანართი მემორანდუმს არ ახლავდა (დანართი N8).

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გადაამოწმეს ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებში მითითებული საწარმოო პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, შპს ,,ფარმავიტა" და შპს ,,გლუკოზა". პრაქტიკის პედაგოგის თამაზ ავალიანის განმარტებით მითითებულ ობიექტებზე გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას ფარმაცევტის თანმაშემწის პროფესიული სტუდენტები.

შპს ,,ფარმავიტა" ვერ უზრუნველყოფდა სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ობიექტი აღჭურვილი იყო მოძველებული, სავარაუდოდ გაუმართავი დანადგარებით/ინვენტარით და მასში საერთოდ არ იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

საზოგადოებრივ კოლეჯში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი პირობები სრულად არ შეესაბამებოდა არსებულ სტანდარტებს. დაწესებულებაში არსებობდა ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები (6 ცალი ელექტროგამათბობელი – არ არსებობდა მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია). თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ სველი წერტილები იყო მოუწესრიგებელი, ფართს არ მიეწოდებოდა წყალი (კოლეჯის წარმომადგენელის განმარტებით წყლის მიწოდება ფართზე შეწყვეტილი იყო თანხის გადაუხდელობის გამო).

დაწესებულების ბიბლიოთეკა მოიცავდა სამკითხველო დარბაზსა და წიგნსაცავს. კოლეჯის დებულების მიხედვით ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკარი. თუმცა ექსპერტებმა ვერ დაადასტურეს ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეულის არსებობა – არ იქნა ნანახი პირადი საქმე ან მისი დანიშვნის ბრძანება. კოლეჯის წარმომადგენლის განმატებით, კოლეჯს ბიბლიოთეკარი არ ჰყავდა.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფართი შეადგენდა 53.97 კვ.მ2. ფართი იყო მოუწესრიგებელი, იგი განთავსებული იყო არქივთან ერთად. ნაჩვენებ ფართში განთავსებული წიგნების ნაწილი ან არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად ან არ წარმოადგენდა კოლეჯ ,,ეტალონის" საკუთრებას (აქვს სხვა დაწესებულებების ბეჭედი).

წარმოდგენილი წიგნების სარეგისტრაციო ჟურნალი იყოსრულიად მოუწესრიგებელი. ვინაიდან დაწესებულებას არ ჰყავდა ბიბლიოთეკარი ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული წიგნადი ფონდის შესახებ.

დაწესებულებას არ გააჩნდა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, თუმცა კოლეჯის ვებ გვერდზე აღნიშნული წესი იყო გამოქვეყნებული. ვერ იქნა წარმოდგენილი წიგნების კატალოგის ფორმა, წიგნაკის ჯიბაკის ფორმა, მკითხველის ფორმულარის ფორმა, წიგნის ფორმულარის ფორმა.

დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა. ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა ის წიგნადი ფონდი, რომლითაც ასწავლიდნენ ამ ეტაპზე მიმდინარე პროგრამებზე, შედეგად წარმოდგენილი იქნა სულ 13 წიგნი და ამობეჭდილი მასალა (კანონები), მათ შორის, 3 წიგნი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილი იყო მოძველებული ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო 1 კომპიუტერი, რომელიც იმყოფებოდა გაუმართავ მდგომარეობაში. წვდომა ინტერნეტთან არ იყო.

2.4 ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაწესებულებაში დაფიქსირდა 9 კომპიუტერი (თუმცა კომპიუტერების ფლობა არ დასტურდებოდა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციით). კოლეჯში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებული იყო 6 მოძველებული კომპიუტერი. კომპიუტერები არ იყო ჩართული ინტერნეტის ქსელში. შემოწმებისას ჩაირთო მხოლოდ 4 კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერი იყო გაუმართავ მდგომარეობაში. ბიბლიოთეკაში ასევე, განთავსებული იყო 2 პრინტერი – ასევე გაუმართავ მდგომარეობაში. „საპროფესორო"- ში (მასწავლებლების ოთახი) მოთავსებული იყო 2 კომპიუტერი, პრინტერი. ექსპერტებმა ვერ მოიძიეს ინტერნეტით სარგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები.

2.5 საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ეტალონი" საქმისწარმოება ხორციელდებოდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა დაწესებულების მიერ შემუშავებულ საქმისწარმოების წესს (რომელსაც, როგორც ყველა მოპოვებულ დაწესებულებაში დოკუმენტს არ გააჩნდა იურიდიული ძალა) (დანართი N 10).

საქმისწარმოების წესის მიხედვით (მუხლი 13) შიდა დოკუმენტაცია რეგისტრირდებოდა ცალ–ცალკე სარეგისტრაციო ჟურნალში. კოლეჯში უნდა ყოფილიყო შემდეგი სახის შიდა დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალები: ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალი, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოხსენებითი და სამსახურეობრივი ბარათების სარეგისტრაციო ჟურნალი. ექსპერტების მიერ ვერ იქნა მოპოვებული აღნიშნული ჟურნალები.

დაწესებულების საქმისწარმოების წესის მიხედვით (მუხლი 3, 3.6) შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებული უნდა ყოფილიყო: რიგითი ნომერი, თარიღი, სარეგისტრაციო ნომერი, ინფორმაცია დოკუმენტის ავტორის შესახებ, მოკლე შინაარსი, ინფორმაცია დანართის შესახებ, განსახორციელებელი მოქმედება, ვის გადაეცა შესასრულებლად და რა ვადაში, შემსრულებლის ხელმოწერა თარიღის მითითებით. ფაქტობრივად, გასული და შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვა მიმდინარეობდა ერთი ჟურნალის მეშვეობით (დანართი N 9) და არ შეესაბამებოდა დადგენილ წესს.

კოლეჯის ფილიალში არ ხდებოდა ბრძანებების გამოცემა. კოლეჯის წარმომადგენლის ინტერვიუირების შედეგად გაირკვა, რომ ყველა დირექტივას (ძირითადად სიტყვიერს) ისინი იღებდნენ თბილისიდან. ექსპერტებმა ვერ აღმოაჩინეს ვერც ერთი ბრძანება, მათ შორის კოლეჯში არ არსებობდა სტუდენტების ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიული მასწავლებლების დანიშვნის ან განთავისუფლების აქტები.

დარღვეული იყო დიპლომების გაცემის ჟურნალის წარმოებაც (დანართი N11). წარმოდგენილი ,,ჟურნალი" ნაწილობრივ იყო შევსებული. კოლეჯის წარმომადგენლის

განცხადებით, ყველა პუნქტის შევსება ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს გააჰქონდა დიპლომი.

კოლეჯში არ არსებობდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, არ გააჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები. სართულზე განთავსებული საევაკუაციო გეგმა არ იყო დამტკიცებული შესაბამისი უწყების მიერ. დებულების მიხედვით კოლეჯში უნდა ყოფილიყო პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი, თუმცა ფაქტობრივად მსგავსი ფუნქციის მქონე ოთახი არ არსებობდა და კოლეჯს შესაბამისი პერსონალიც არ ჰყავდა. დაწესებულებაში არ არსებობდა დაცვის უზრუნველყოფის არავითარი მექანიზმი: შენობას არ ჰქონდა დაცვა, არ ჰყავდა დაცვის თანამშრომლები.

კოლეჯს არ ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. კერძოდ, კოლეჯს არ ჰქონდა პანდუსები (კოლეჯის ფართი განთავსებული იყო მე–4 სართულზე). კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შენობაში არსებობდა გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი ლიფტი, იგეგმებოდა მისი შეკეთება. არ არსებობდა შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები.

დაწესებულებას გააჩნდა ვებ გვერდი www.college-etaloni.ge, რომელზეც ვიზიტის პერიოდში განთავსებული იყო შემდეგი სახის ინფორმაცია: მიღების გამოცხადება ავტორიზებულ პროგრამებზე, დაწესებულების მისია, პროგრამების ჩამონათვალი, სასწავლო დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ასევე, ბათუმის წამომადგენლობასთან დაკავშირებით მოპოვებული იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: სტუდენტთა სახელობითი სია და პედაგოგთა სახელობითი სია. აღსანიშნავია, რომ ვებ გვერდზე განთავსებულია 48 პროფესიული მასწავლებლის სია, დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ამ ეტაპზე ბათუმის ფილიალში მუშაობს მხოლოდ 16 პედაგოგი და ვებ გვერდზე განთავსებულ სიაში შეყვანილი იყო განთავისუფლებული და გარდაცვლილი პირები. ამრიგად, არსებობდა შეუსაბამობა ვებ გვერდზე განთავსებული და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ მოწოდებული პროფესიული მასწავლებლების სიებს შორის.

დაწესებულებამ ექსპერტებს ვერ წარუდგინა სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამუსაო გეგმები.

**ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ვერ დადასტურდა ექსპერტების მიერ. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, ყველა თანამშრომლის პირადი საქმე ინახებოდა კოლეჯის თბილისის განყოფილებაში. ვიზიტის მეორე დღეს თბილისის წარმომადგენლობიდან გადმოგზავნილი იქნა თანამშრომლების პირადი საქმეები. პირადი საქმეები იყო მოუწესრიგებელი და მოიცავდა არასრულ ინფორმაციას.

შპს ,,ეტალონის" საქმისწარმოების წესის მე - 15 მუხლის შესაბამისად კოლეჯში ადამიანური რესურსების შერჩევა ხდებოდა კონკურსის წესით. წესში გაწერილი იყო როგორ უნდა მომხდარიყო კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეგისტრაციაში გატარება, თუმცა მსგავსი ჩანაწერი დაწესებულების შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალში (რომლის წამოებაც დარღვეული იყო) ვერ იქნა მოძიებული და კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებითაც საკონკურსო სააპლიკაციო ფორმის რეგისტრირება ჟურნალში არ ხორციელდებოდა.

მე-16 მუხლის თანახმად, კოლეჯის ადამიანური რესურსის პირად საქმეში თავსდებოდა შემდეგი სახის დოკუმენტაცია: დიპლომის ასლი, პირადობის მოწმობის ასლი, CV. შრომის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი დასაქმებულის სურვილისამებრ, რაც ეწინააღმდეგებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.აღსანიშნავი იყო,რომ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია პირად საქმეებში არასრულადა იყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯში სწავლობდა 123 პროფესიული სტუდენტი. პროფესიული მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენდა 16–ს. თუმცა, ვერ იქნა

წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანება. შესაბამისად, დაუდგენელი იყო რამდენი სტუდენტი სწავლობდა „ეტალონში". კოლეჯში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობითაც ამის დადგენა შეუძლებელი გახდა.

თანამშრომლებთან და მოწვეულ პედაგოგებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო ხარვეზებით. კერძოდ, ხელშეკრულებებს არ ჰქონდა რიგითი ნომერი (როგორც უკვე იყო აღნიშნულია ადგილზე არ ხდებოდა მათი სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში გატარება). მაგალითად,

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის გიგლა ჭელიძის შრომით ხელშეკრულებას არ გააჩნდა რიგითი ნომერი და არ ჰქონდა მითითებული დადების თარიღი (დანართი N 14 );
- ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის სულიკო ანთაძის პირად საქმეში საერთოდ არ არსებობდა შრომითი ხელშეკრულება (იყო მხოლოდ CV და 3 დიპლომის ქსეროასლი);
- პედაგოგ კახაბერ ტყაბლაძესთან შრომითი ხელშეკრულება დადებული იყო 2012 წელს და ძალაში იყო მხოლოდ 2 წლის განმავლობაში. ამრიგად, წინამდებარე ხელშეკრულება იყო ვადაგასული; ასევე არ იყო შევსებული გრაფა შრომის ანაზღაურების შესახებ. ხელშეკრულებას ახლავდა შეთანხმების აქტი შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ, თუმცა ამ დოკუმენტშიც არ იყო მითითებული თუ როდის შედიოდა ძალაში ეს შეთანხმება და რა ვადით (დანართი N 15 );
- პროფესიული მასწავლებლის ნინო ვარშანიძის შრომით ხელშეკრულებას ასევე მოუწესრიგებელი ჰქონდა რეკვიზიტები, არ იყო ბოლომდე მითითებული თარიღი, გაურკვეველი იყო რომელ წელს დაიდო ხელშეკრულება (დანართი N 16 );
- პედაგოგების მარინე თევდორაძის და დარიკო პაქსაძის საბუთები არ იყო გადმოგზავნილი თბილისის კოლეჯის წარმომადგენლობიდან. კოლეჯის ადგილობრივმა წარმომადგენლობამ მოგვაწოდა მარინე თევდორაძის პირადი საქმე, სადაც იდო ხელმოუწერელი, შეუვსებელი შრომითი ხელშეკრულება ( დანართი N 17 );

ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ წარმოადგინა ინფორმაცია თელავში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის თაობაზე.

ექსპერტმა განაცხადა რომ 2016 წლის 1 აპრილს თელავში განახორციელეს ვიზიტი შორენა ჯაფარიძემ და თეა შაყულაშვილმა. ვარდოშვილის ქ. 15-ში, საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონის თელავის წარმომადგენლობაში. ადგილზე მათ დახვდათ დაწესებულების 3 ყოფილი თანამშრომელი, კერძოდ: გიორგი ნინიაშვილი (წარმომადგენლობის ხერლმძღვანელი), თამილა ლამაზოშვილი (სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი), თამარ რაზმაძე (საქმისმწარმოებელი). მათი განმარტებით საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი აღნიშნულ მისამართზე არ ფუნქციონირებდა 2015 წლის დეკემბრიდან.

შენობის მეპატრონის განმარტებით 2016 წლის დასაწყისიდან ცალმხრივად გაუქმებული იყო იჯარის ხელშეკრულება და კოლეჯი ამჟამად ფუნქციონირებდა ახალ მისამართზე (დაუზუსტებლად ერეკლე მეორის გამზირზე).

პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის გაგრძელების საკითხი იყო გაურკვევლი. თამილა ლამაზოშვილის განმარტებით სტუდენტთა საბუთები და მათი სასწავლო საქმიანობის დოკუმენტაცია ინახებოდა სათაო დაწესებულებაში.

ექსპერტების მიერ წარმოდგენილი იყო ასევე ინფორმაცია სამტრედიის, საჩხერის და ლანჩხუთის ფილიალების თაობაზე.

## სამტრედია

ქ. სამტრედიაში მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2016 წლის 1 აპრილს. ადგილზე ჩასვლისას დადგინდა, რომ გენო გეგეშიძის 11-ში გარკვეული პერიოდი ფუნქციონირებდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი, რომლმაც დიდი ხნის წინ შეწყვიტა მუშაობა. ამ ეტაპზე ამავე ფართზე განთავსებული იყო შპს ,,ეტალონი მნ" - პროფესიული გადამზადების ცენტრი, რაც ასევე დადასტურდა ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომელიც დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა.

## საჩხერე

### საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

2016 წლის 31 მარტს ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „ეტალონის" დამატებით ფართზე ქ. საჩხერეში (კოსტავას #92).
ადგილზე იმყოფებოდა დაწესებულების წარმომადგენელი (ლ.ცინცაძე. რომელმაც ვერ დაადასტურა დოკუმენტალურად, რომ გახლდათ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ვინაიდან ოფიციალური დოკუმენტაცია არ ინახებოდა ადგილზე (წარმომადგენლის განმარტებით ყველა დოკუმენტი ინახებოდა დაწესებულების ხელმძღვანელთან, ზ.ხაჭაპურიძესთან). მოგვიანებით, ადმინისტრაციათან გასაუბრების შემდეგ აღნიშნული პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი მიღებულ იქნა ელექტრონულად.
ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ელ.ფოსტიტ წარმოდეგენილ იქნა ახსნა-განმარტებითი ბარათი იმ პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელებაც სურდა დაწესებულებას.
ვიზიტის ფარგლებში ვერ იქნა ნანახი უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურდათ), რომლებიც სავარაუდოდ ხორციელდებოდა დაწესებულების მიერ 2012 წლის 13 მარტის, ავტორიზაციის ფარგლებში და რომელთა განხორციელება იგეგმებოდა ასევე ქ. საჩხერეში არსებულ დამატებით ფართზე - მის: ქ.საჩხერე, კოსტავას ქ.#92;

### მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი რამდენიმე მისამართზე, მათ შორის ქ. საჩხერეში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება სს „ლიბერთი ბანკთან") ფლობდა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამის ფართებს, რომლებიც გამოიყენებოდა საკუთარი მიზნების რეალიზაციისათვის.

აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში, 23.04.2015-ის მონაცემებით (ახალი მონაცემები ვიზიტის ფარგლებში ვერ იქნა წარმოდგენილი) - საკადასტრო კოდი: 35.01.44.162 ხელშეკრულების ხანგრძლივობა მოიცავდა 1 წელს, სადაო საკითხის არ არსებობის შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელების პერსპექტივით).

სასაწავლო ფართი, რომელიც წარმოდგენილი იყო 5 ოთახით (მათ შორის 1 - კომპიუტერული ოთახი), აღჭურვილი იყო: ორადგილიანი სასწავლო მერხები (32 ცალი) და სკამები (74), სამასაჟო ტახტი - 1 ერთ. კომპიუტერი მაგიდა - 7 სასწავლო კაბინეტები (რომელთა ზუსტი საერთო ფართი ვერ დგინდებოდა შენობის ნახაზის ადგილზე არ არსებობის გამო) აღჭურვილი იყო დაფებით, ერთ კაბინეტში განთავსებული იყო ადამიანის ტორსი და ანატომიური პლაკატი.

დაწესებულებაში იყო 1 კომპიუტერული ოთახი, სადაც განთავსებული იყო 6 კომპიუტერი, მათგან 2 ჩართული იყო ინტერნეტში (კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ადგილზე ვერ იქნა ნანახი);

დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდებოდა მხოლოდ მერხებით, სკამებითა და დაფებით სარგებლობის ფაქტი;

ვერ დგინდებოდა აღნიშნული ინვენტარი იყოთუ არა აყვანილი „შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ეტალონის: ბალანსზე, ვინაიდან ფინანსური დოკუმენტაცია განთავსებული იყო თბილისში და ვიზიტის ფარგლებში ვერ იქნა ნანახი;

დაწესებულებამ მასაჟისტის და კრიმინალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინა მემორანდუმები. მათგან კრიმინალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოიაზრებოდა მემორანდუმი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. მემორანდუმი გაფორმებული იყო სავარაუდოდ 05.01.2012-ში და შინაარსიდან ჩანდა, რომ მემორანდუმის ხანგრძლივობა მოიცავდა მხოლოდ 2012-2013 აკად.წელს.

დაწესებულებაში ზოგადად იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის აუცილებელი გარემო. დაწესებულებაში იყო ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა (თუმცა ხელსეკრულება მომწოდებელთან ვერ იქნა წარმოდგენილი ვიზიტის ფარგლებში), 1 სველი წერტილი, საერთო სარგებლობისათვის რომელიც ზოგადად იყო ადაპტირებული სახელურებით, თუმცა შესასვლელი არ იყო ადაპტირებული და ფართი იყო იმდენად მცირე, რომ ეტლის მობრუნება ვერ მოხერხდებოდა. დაწესებულება გათბობის მიზნით ფლობდა ელექტროგამათბობლის 4 ერთეულს.

დაწესებულების საჩხერის ფართზე არსებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - სულ 728 ერთ, მათი ნაწილი ზოგადად შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას, რომლებიც ნანახი იქნა ადგილზე. სრულად ლიტერატურის გადამოწმება ვერ მოხერხდა, ვინაიდან პროფესიული პროგრამების სილაბუსების სრული პაკეტი წარმოდგენილი იქნა მხოლოდ მეორე დღეს, ვიზიტის დასრულების შემდეგ. ბიბლიოთეკაში არ იყო განთავსებული ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი.

ვიზიტის დროს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (6 კომპიუტერი, 2 პრინტერი/სკანერი - რომელიც ვიზიტის მომენტში არ მუშაობდა) ზოგადად გამოიყენებოდა საგანამანთლებლო საქმიანობაში. ადმინისტრაციის ოთახში არ იდგა კომპიუტერი, თუმცა წარმომადგენლის განმარტებით დაწესებულების მართვისთვის ის იყენებდა კომპიუტერულ კლასში განთავსებულ კომპიუტერს.

დაწესებულებაში, საჩხერის ფართზე ვიზიტის დროს ვერ დადგინდა მიმდინარეობდა თუ არა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, ვინაიდან წარმომადგენელს არ ჰქონდა ამ ეტაპზე საქმის წარმოების ლეგიტიმაცია.

დაწესებულებას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ტერიტორიაზე განთავსებული ჰქონდა დაუმონტაჟებელი ცეცხლმაქრი, სხვა სახის უზრუნველყოფა ვიზიტის დროს ვერ დადგინდა. ვიზიტის ფარგლებში ვერ დადგინდა დაწესებულებას, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, ჰქონდა თუ არა გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება კონკრეტულ პირთან. დაწესებულებაში არსებობდა ცარიელი პირველადი დახმარების კარადა, სადაც წესით უნდა ჰქონოდათ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის განკუთვნილი მედიკამენტები. კოლეჯის წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით, შესაბამის პიროვნებასთან ან ორგანიზაციასთან დადებული იყო თუ არა შრომითი ხელშერკულებები, ვიზიტის ფარგლებში ვერ დადგინდა.

დაწესებულებას საჩხერის ფართზე (კოსტავას ქ. #92) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით ჰქონდა დამზადებული ხის მოსახსნელი პანდუსები . ვიზიტის მომენტში ვერ დადასტურდა იყო თუ არა გამოყოფილი კონკრეტული პიროვნება მათი მომსახურების მიზნით.

შემუშავებული იყო დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი ადგილზე ვერ გადამოწმდა და ვერც ვებ.გვერდზე მოხდა მათი ნახვა, ვინაიდან არსებობდა ტექნიკური ხარვეზი ვიზიტის ფარგლებში.

**ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

მასაჟისტის და კრიმინალისტის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დაწესებულება გეგმავდა 9 პირის ჩართვას. დაწესებულების მიერ, ვიზიტის ფარგლებში და ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ზოგადად დგინდებოდა განმახორციელებელი პირების შესაბამისობა სასწავლო კუსებთან, თუმცა იმის დადასტურება რომ ეს ადამიანები საჩხერის ტერიტორიაზე განახორციელებდნენ სწავლბას დგინდებოდა ძირითადად ხელშეკრულებებით.

ვიზიტის მომენტისათვის დაწესებულება არ ახორციელებდა საგანმანათლებლო პროგრამებს.

ქ. საჩხერის ფართზე დაგეგმილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები (დედნები ადგილზე არ გადამოწმებულა!) წარმოდგენილი იქნა ვიზიტის დასრულების შემდეგ, მეორე დღეს ხელშეკრულებები იყო ხელმოწერილი, მაგრამ არ ჰქონდა მინიჭებული შესაბამისი ნომრები.

**ლანჩხუთი**

**საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ეტალონი" ლანჩხუთის წარმომადგენლობა სარეკლამო ბუკლეტების და ბანერების მიხედვით აცხადებდა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: მემინანქრე, იუველირი, თექა, გობელენი, ფარდაგი, ტანსაცმლის მოდელირება, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, კვალიფიცირებული ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, ექთნის ასისტენტი, მასაჟისტი, კორესპონდენტი, ტელე-რადიო რეპორტიორი, კომპიუტერული გრაფიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კრიმინალისტიკა, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, ტურ-ოპერატორი, ოფისის მენეჯერი, საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი და საბაჟო წარმომადგენელი (აღსანიშნავი იყო, რომ ექთნის, გობელენისა და ფარდაგის სპეციალობებზე კოლეჯს ავტორიზაცია მიღებული არ ჰქონდა). დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიღება ცხადდებოდა ყველა ავტორიზებულ პროფესიულ პროგრამაზე და თუ გამოიკვეთებოდა, რომ რომელიმე პროგრამაზე იქნებოდა მოთხოვნა შემდეგ მოხდება დაწესებულების მხრიდან პროგრამის შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით აღჭურვა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 9 ნოემბრის გადაწვეტილებით (N306) შპს საზოგადოებრივ კოლეჯს ეტალონს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1144 (მათ შორის თბილისში, გორში, ქუთაისში, სამტრედიაში, ბათუმსა და თელავში). ამრიგად, კოლეჯის ლანჩხუთის წარმომადგენლობას არ ჰქონდა სწავლის პროცესის განხორციელების ავტორიზაციით მინიჭებული უფლება.

მიუხედავად ამისა, დაწესებულება 2014–2015 სასწავლო წელს ახორციელებდა 5 პროფესიულ პროგრამას: ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური), კრიმინალისტი (III საფეხური),

საბაჟო წარმომადგენელი (III საფეხური), სასცენო ხელოვნების ოსტატი (IV საფეხური), ინფორმაციული ტექნოლოგი (III საფეხური). კოლეჯის ლანჩხუთის წარმომადგენლობაში მოძიებული სტუდენტთა სიების შესაბამისად მითითებულ პროგრამებზე სწავლობდა 48 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტებმა დაწესებულებაში ვერ მოიპოვეს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესაბამისი ბრძანება ან ბრძანების ასლი ( წარმომადგენლის განმარტებით ყველა დოკუმენტი ინახებოდა კოლეჯის თბილისის განყოფილებაში).

დაწესებულების წარმომადგენლის (ლია მენაღარიშვილი – პედაგოგი) განმარტებით სწავლა დასრულდა მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგის პროგრამაზე, დიპლომი გაცემულია 4 კურსდამთავრებულზე (თუმცა დიპლომების გაცემის ჟურნალი კოლეჯში არ არსებობს). დანარჩენ 4 პროგრამაზე სასწავლო პროცესი დროებით შეჩერებული იყო გაურკვეველი მიზეზების გამო.

ვიზიტის დროს მიმდინარე საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამები ადგილზე არ აღმოჩნდა. დაწესებულებაში არსებობდა მხოლოდ სასწავლო გეგმები და რამდენიმე სილაბუსი..

**მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად (დანართი 1 – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 11/07/2014წ) შპს საზოგადეობრივი კოლეჯის „ეტალონი" ლანჩხუთის წარმომადგენლობა ფლობდა საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე 595,46 კვ.მ. ფართს შემდეგ მისამართზე: ლანჩხუთი, სოფ. გვიმბალაური. ვიზიტის დროს კოლეჯის წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა საიჯარო ხელშეკრულება. მისი განმარტებით იჯარის ხელშეკრულება დროებით შეწყვეტილი იყო სასწავლო პროცესის შეჩერების გამო.

აღნიშნული ფართი განთავსებულია ყოფილი პროფესიული სასწავლებლის შენობის მე–2 და მე–3 სართულზე.

დაწესებულების სასწავლო ფართი წარმოდგენილი იყო მე–2 სართულზე განთავსებული 5 ოთახით: 4 სასწავლო ოთახი, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი მისაღებით. აღნიშნულ ფართზე განთავსებული იყო მოძველებული და მოუწესრიგებელი სასწავლო ინვენტარი: 26 გრძივი მერხი, 26 გრძივი სკამი, 13 მაგიდა, 20 სკამი, 3 დაფა, 4 შეშის ღუმელი, 4 კომპიუტერი, 1 პრინტერი (გაფუჭებული).

კოლეჯში არ არსებობს სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიები, სასწავლო თვალსაჩინოებები. სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა მოპოვებული ექსპერტების მიერ.

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები:

საზოგადოებრივ კოლეჯში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი პირობები არ შეესაბამებოდა არსებულ სტანდარტებს. მართალია, შენობაში არსებობდა ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, მაგრამ აუდიტორიებში არ იყო ნათურები, როზეტები, სასწავლო ფართის დიდ ნაწილში საერთოდ არ არსებობდა ელექტროგაყვანილობა.

სველი წერტილები იყო მოუწესრიგებელი, განთავსებული შენობის პირველ სართულზე, და იჯარის ფართში არ იყო გათვალისწინებული. გათბობის საშუალებებს წარმოადგენდა 4 შეშის ღუმელი (არ არსებობდა მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მეორე სართულის ფართზე ფანჯრების მინები ჩატეხილი იყო.

მესამე სართულის ფართი სრულად იყო ამორტიზირებული, არ იყო აღჭურვილი სასწავლო ინვენტარით. ფანჯრებს არ ჰქონდათ მინები, იატაკები იყო აყრილი, ელექტროგაყვანილობა არ არსებობდა.

დაწესებულების ბიბლიოთეკა იყო აბსოლუტურად მოუწესრიგებელი. ნაჩვენებ ფართში განთავსებული წიგნები არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და არ წარმოადგენდა კოლეჯ ,,ეტალონის" საკუთრებას. არ არსებობდა წიგნების სარეგისტრაციო ჟურნალი. დაწესებულებას არ გააჩნდა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ვერ იქნა წარმოდგენილი წიგნების კატალოგის ფორმა, წიგნაკის ჯიბაკის ფორმა, მკითხველის ფორმულარის ფორმა, წიგნის ფორმულარის ფორმა.

ბიბლიოთეკა აღჭურვილი იყო მოძველებური ინვენტარით. ბიბლიოთეკაში არ არსებობდა კომპიუტერული ტექნიკა, წვდომა ინტერნეტთან არ იყო.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაწესებულებაში დაფიქსირდა 4 კომპიუტერი (თუმცა კომპიუტერების ფლობა არ დასტურდებოდა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციით), თუმცა 2 კომპიუტერი არ ირთვებოდა. დაწესებულებას არ ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან, არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება ინტერნეტით სარგებლობის შესახებ.

საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ეტალონი"–ს ლანჩხუთის წარმომადგენლობაში საქმისწარმოება არ ხორციელდება

კოლეჯში არ არსებობდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, არ გააჩნდათ ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცლმაქრები. არ გააჩნდათ საევაკუაციო გეგმები. არ არსებობდა პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი, დაწესებულებაში არ არსებობდა დაცვის უზრუნველყოფის არავითარი მექანიზმი: შენობას არ ჰქონდა დაცვა, არ ჰყავდა დაცვის თანამშრომლები.

კოლეჯს არ ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო.

დაწესებულებას გააჩნია ვებ გვერდი www.college-etaloni.ge, თუმცა ინფორმაცია ლანჩხუთის წარმომადგენლობის შესახებ აქ არ არის განთავსებული.

დაწესებულებამ ექსპერტებს ვერ წარუდგინა სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

**ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია ვერ დადასტურადა პირადი საქმეების არარსებობის გამო. წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი კოლეჯს არ ჰყავდა. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია ვერ დადასტურადა პირადი საქმეების არასრულყოფილი კომპლექტაციის გამო. ექსპერტების მიერ ადგილზე იქნა მოძიებული 15 პროფესიული მასწავლებლის „პირადი საქმე". პირადი საქმეებიდან არ იკვეთებოდა თუ რა საგანს ასწავლიდნენ აღნიშნული პირები, არ არსებობდა დანიშვნის ბრძანებები ან მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. პირად საქმეებში ნანახი იქნა პირადობის მოწმობის, დიპლომების ქსეროასლები. მაგალითად, ნონა ტუღუშის პირად საქმეში აღმოჩენილი იყო მხოლოდ დიპლომის ქსეროასლი და CV, შოთა ბერიძეს პირად საქმეში პირადობის და დიპლომის ქსეროასლები, ნანა ორაგველიძეს პირად საქმეში – CV, დიპლომისა და პირადობის ქსეროასლები.
შესაბამისი დოკუმენტაციის არარსებობის გამო ექსპერტებმა ვერ დაადგინეს პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა რაოდენობა.
თანამშრომლებთან და მოწვეულ პედაგოგებთან შრომითი ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა იცოდა თუ არა მან რამდენად პრობლემურ დაწესებულებაში მუშაობდა იგი . დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი პროგრამებთან სამუშაოდ მივიდა დაწესებულების ხარისხის მართვაში მარტის თვეში და როდესაც აპირებდა პრობლემბში გარკვევას სწორედ ამ დროს შემოვიდა დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფი, იგი არ ეწინააღმდგებოდა მოცემულ პრობლემებს უბრალოდ მათ გამოსასწორებლად მიმართავდა საბჭოს თხოვნით მიეცა მათთვის გონივრული ვადა.

საბჭოს წევრმა მამაია ჯანჯალიამ განაცხადა რომ სანერვიულო იყო იმ სტუდენტების ბედი, რომლებიც სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ კოლეჯში, იხდიდნენ საფასურს და ვერ იღებდნენ ცოდნას. მისი განცხადებით დაწესებულებაში სადაც ექთანი მუშაობდა დარაჯად არ შეიძლებოდა საუბარი ყოფილიყო კმაყოფილ სტუდენტზე და მასზე მორგებულ გარემოზე. რეალურად დაწესებულებას ჰყავდა ოთხასამდე სტუდენტი რომელიც იხდიდა ფულს.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, ვინაიდან ხდებოდა სტუდენტების მოტყუება, ისინი უბრალოდ ყიდულობდნენ დიპლომებს. აღნიშნულ მომენტში არაფრის გამოსწორება აღარ იყო შესაძლებელი, კოლეჯის ხელმძღვანელობა უნდა დამჯდარიყო და თავიდან დაეგეგმა პროცესები თუ სურვილი ჰქონდათ რაიმეს აწყობის, მისი აზრით კოლეჯს უნდა ჩამორთმეოდა ავტორიზაცია ვინაიდან არცერთ რეგიონულ ფილიალში და არც თბილისში არ ფიქსირდებოდა რომელიმე სტანდარტთან შესაბამისობა, არ იყო დაცული პროგრამების სტანდარტი. საქართველოში მინიმუმამდე იყო დაყვანილი სტანდარტები პროფესიული კოლეჯების მიმართ და როდესაც ეს მინიმუმიც ვერ სრულდებოდა, კოლეჯს უნდა ჩამორთმეოდა ავტორიზაცია. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით მას გული შეტკიოდა მოტყუებულ 400-მდე სტუდენტზე და იგი ვეღარ შეუწყობდა ხელს იმ თაღლითობას რომელსაც ახორციელებდა კოლეჯი.

საბჭოს წევრმა ირაკლი პეტრიაშვილმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ როდესაც ისინი მოითხოვდნენ დროს სტანდარტების გამოსასწორებლად, დროის რა მონაკვეთს მოიაზრებდნენ ისინი პრობლემების აღმოსაფხვრელად. წარმომადგენელმა მიუგო რომ მათ ჭირდებოდათ ორი თვე და ისინი იმუშავებდნენ 24 საათიან რეჟიმში, თუმცა ირაკლი პეტრიაშვილს გაუკვირდა ორი თვის ვადაში როგორ შეძლებდნენ ისინი ყველაფრის გამოსწორებას და ფაქტიურად თავიდან აწყობას.

საბჭოს წევრის მაია ჩიხლაძის აზრით როდესაც განხორციელდა ვიზიტი ოქტომბერში რომელიმე ექსპერტი რომელიც იყო საბჭოზე წარმოდგენილი მათ რომ განეხორციელებინათ ვიზიტი ნამდვილად არ იქნებოდა სავალალო სიტუაცია და რაღაც მაინც გადარჩებოდა.

სხდომაზე აზრის დაფიქსირების უფლება მიენიჭა პროფესიული განათლების პროფესიული კავშირების თავმჯდომარეს დენის დავითაშვილს.

მან განაცხადა, რომ ერთადერთი წუხილი რაც მას გააჩნდა იყო ის, თუ რა ბედი ეწეოდათ სტუდენტებს. არსებობდა განსხვავებული პროფესიები რეგიონებში, რომელთაც იმავე ლოკაციაზე არ ჰქონდათ ალტერნატივა. მისი აზრით უნდა ყოფილიყო შედგენილი საექსპერტო დასკვნა სადაც იქნებოდა დაფიქსირებული თუ სად გადანაწილდებოდა 400-მდე გარეთ დარჩენილი სტუდენტი.

საბჭოს წევრმა ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ საბჭო მოქმედებდა მოცემულობის მიხედვით და დაინტერესდა იქნებოდა თუ არა მათი მხრიდან უფრო მეტად დანაშაულებრივი თუ ისინი რეაგირებას არ მოახდენდნენ იმ ფაქტზე როდესაც ხდებოდა 400-მდე სტუდენტის მოტყუება, კერძოდ როდესაც სტუდენტი ირიცხებოდა კრიმინალისტიკის პროგრამაზე და იგი რეალურად არ სწავლობდა კრიმინალისტიკას და ამავდროულად იხდიდა სწავლის საფასურს. შესაბამისად უკვე არსებულ მოტყუებულ სტუდენტებს დაემატებოდა ახალი სტუდენტები, აქედან გამომდინარე აუცილებელი იყო დროული სათანადო რეაგირება.

დენის დავითაშვილმა განაცხადა რომ იგი სასწორზე დადებდა ავტორიზაციისა და სტუდენტების ბედის საკითხს და შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას და თუ იქნებოდა რაიმე სახის თხოვნა მისი აზრით ეს თხოვნა უნდა ყოფილიყო განხილული.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დენის დავითაშვილს საკუთარი აზრის დაფიქსირებისათვის და მოუწოდა მიეცა საბჭოსთვის საშუალება გაეგრძელებინა საქმიანობა.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ პროგრამები რომლებსაც ახორციელებდა საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი, ხორციელედებოდა როგორც კერძო ასევე სახელმწიფო დაწესებულებებშიც. რაც შეეხებოდა მობილობას ვადები არ იყო შეზღუდული. თუ სტუდენტს ექნებოდა სახელმწიფო კოლეჯში ჩაბარების სურვილი მოუწევდა პროფესიული ტესტირების ჩაბარება საშემოდგომო მიღებაზე, ხოლო შემდეგ ის კრედიტები რომელიც ექნებოდა მიღებული მოხდებოდა მათი აღიარება. ცენტრის ყველა გადაწყვეტილება დადებითიც და უარყოფითიც მიეწოდებოდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, გადაწყვეტილება ასევე თავსდებოდა ვებგვერდზე თუმცა პირველ რიგში დაწესებულება იყო ვალდებული მიეწოდებინა სტუდენტისათვის ინფორმაცია ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე. საბჭოს მიმდინარეობისას გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა კერძოდ გამოიკვეთა საშიშროება რომ დაწესებულებას არ ეყოლებოდა რეგისტრირებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტების გარკვეული რაოდენობა, რაც აუცილებლად შეაფერხებდა მათი მობილობით სარგებლობის უფლებას.

15:42 საათზე საბჭოზე გამოცხადდა შესვენა.
სხდომა განახლდა 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონს ( ს/კ:401962890) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ვერცერთ სტანდარტს, სტუდენტები რომლებიც ირიცხებოდნენ კოლეჯში იმყოფებოდნენ გაურკვევლობაში და ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო მოგვარებული. საბჭოს თხოვნას წარმოადგენდა გამოყენებული ყოფილიყო ყველა ზომა რომ ინფორმაცია მიეწოდებინათ სტუდენტებისათვის და დამთავრებულიყო მათი მოტყუების პროცესი. ასევე თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციურად ჩატარებული სამუშაოსათვის, რაც წარმოადგენდა იმის გარანტს რომ თუ კიდევ ვინმე შეეცდებოდა სტუდენტების მოტყუებას, შესაბამისი დასკვნებით მოხდებოდა მსგავსი ფაქტების აღმოფხვრა, ასევე მისი აზრით დაწესებულების საქმიანობა შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს რომელიც ასევე საჭიროებდა რეაგირებას.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ ასევე დააფიქსირა აზრი რომ მომხდარიყო დაწესებულების მხრიდან სტუდენტების დაუყოვნებლივ ინფორმირება წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებოდა მათი პასუხიმგებლობის საკითხი.

თავმჯდომარის განცხადებით თუ რომელიმე სტუდენს დაგვიანებით მიეწოდებოდა ინფორმაცია, რაც გამოხატული იქნებოდა დამატებითი თანხების შეტანაში და სტუდენტი ინფორმაციის არ არსებობის გამო მის წარმოსახვაში კვლავ გაარძელებდა სწავლას და ექნებოდა მოლოდინი რომ აიღებდა დიპლომს ავტორიზებული კოლეჯიდან აღნიშნული, დამატებით, იქნებოდა პასუხიმგებლობის დამძიმების საკითხი.

სხდომა დასრულდა 16:15 საათზე.

**თავმჯდომარე**
ქეთევან ჯაყელი

**მდივანი**
ლიანა ზამბახიძე